



შპს ბარაკონი

2018 წლის
სამოქმედო გეგმის
შესრულების
ანგარიში

2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისი

2018

| | |
|---|----|
| შესავალი..... | 4 |
| სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება | 5 |
| სტრატეგიული მიზანი 1..... | 5 |
| სტრატეგიული მიზანი 2..... | 10 |
| სტრატეგიული მიზანი 3..... | 14 |
| სტრატეგიული მიზანი 4..... | 17 |
| სტრატეგიული მიზანი 5..... | 22 |
| სტრატეგიული მიზანი 6..... | 26 |
| დასკვნა..... | 29 |
| 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავებაში ჩართული პირები | 29 |

შესავალი

საანგარიშო პერიოდში კოლექტი თავის საქმიანობას ახორციელებს „შპს ბარაკონი (საზოგადოებრივი კოლექტი) სტრატეგიული გეგმა 2016-2022“-ის შესაბამისად.

სტრატეგიული გეგმის პროექტი იქმნებოდა სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე კომისიის მიერ და განსახილველად გადაეცემოდა პედაგოგიურ საბჭოს. სტრუქტურულ ერთეულს განხილვისა და შენიშვნებისათვის ეძლეოდა ერთი კვირის ვადა. მიღებული შენიშვნებითა და რეკომენდაციებით ჩასწორებული სტრატეგიული გეგმის პროექტი განსახილველად და შემდგომში დასამტკიცებლად წარედგინებოდა დამფუძნებელთა საბჭოს. შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და მასში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები.

სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით შემუშავებული სამოქმედო გეგმა შედგება 6 სტრატეგიული მიზნისგან, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ 9 ამოცანასა და 26 აქტივობას. სამოქმედო გეგმის მიხედვით შემდეგი სტრატეგიული მიზნებია გამოყოფილი:

- მატერიალური რესურსის განვითარება;
- კოლექტის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება;
- პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
- კოლექტის ცნობადობის გაზრდა და ცნობიერების ამაღლების აქტივობების ორგანიზება პროფესიული სტუდენტებისთვის;
- მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხილვა, შემუშავება.

აღნიშნული აქტივობების შესრულება ხელს შეუწყობს კოლექტის საქმიანობის გაუმჯობესებას, როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის კუთხით.

სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება

სტრატეგიული მიზანი 1

2018 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით მატერიალური რესურსის განვითარება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო 2 ამოცანის ფარგლებში 5 აქტივობის განხორციელება.

| აქტივობა 1.1 | |
|-------------------------------|---|
| აქტივობის მოკლე აღწერა | კაბინეტ-ლაბორატორიების (მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიის) სრულყოფა და პროგრამული უზრუნველყოფა |
| მთავარი მიზანი | მატერიალური რესურსის განვითარება |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> შეძენილი კომპიუტერების მაჩვენებელი |
| სავარაუდო ვადა | 2018 წელი |
| მიღწეული შედეგები | <p>საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის ტექნიკა.</p> <p>სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებისთვის შეძენილ იქნა შემდეგი კომპიუტერები:</p> <ul style="list-style-type: none"> Compaq 610 HP pavilion 15.6" Intel Dual Core i7 <p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაუმჯობესების მიზნით შეძენილ იქნა დემონსტრირების ციფრული საშუალება - LG 55UJ630V.</p> <p>პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობისა და კომპიუტერების საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით, შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები. კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> კომპიუტერი Ventury 8A1220/i3-8100/CPU Cooler (1 ერთეული); კომპიუტერი Ventury 8A1221/i3- 8100/CPU Cooler (1 ერთეული); კომპიუტერი Ventury (3 ერთეული); მონიტორი K222HQLBD, ACER 21.5" (5 ერთეული); |

| | | | | |
|----------------------------|--|----------------------|---------------------|-------------|
| | <ul style="list-style-type: none"> ▪ პრინტერი (მეორადი) (2 ერთეული); ▪ TP-Link WN725N 150Mbps Nano USB Adapter (2 ერთეული); ▪ TP-WN823N Wireless N 300Mbps Mini USB Adapter (1 ერთეული); ▪ როუტერი, რადიო ქსელი TL-WR945N, TP-Link, 450 Mbps High Power Wireless N Router (2 ერთეული); ▪ Defender Cleaning Wipes 100 pcs (3 ერთეული); ▪ AHV300-1TU31-CBL, Portable HDD, ADATAHV300-1TBUSB 3.1-COLOR BOXBLUE (1 ერთეული); ▪ GT710-SL-1GD5-BRK, Asus NVIDIA GDDR5, PCI Express 2.0, HDMI, DVI-D, VGA (1ერთეული); ▪ ST500DM009 Seagate Barracuda HDD/SATA/3.5” / 500 GB/SATA 6GB, 7200r (1 ერთეული); ▪ უწყვეტი კვების წყარო R850, Sumry, UPS (1 ერთეული); ▪ ანტისტატიკური ფუნჯი (ხუთი ერთეული) ▪ ხელსაწყო KD-T2020, Kingda, Punch Down Tool, for Krone IDC Block, With Lock <p>ასევე, სასწავლო მიზნებისთვის შეძენილ იქნა სხვადასხვა რაოდენობის ადაპტერი, თაგვი, კლავიატურა, ქსელის აქსესუარი, დენის ფილტრი, კაუჩუკის ხალიჩა (ანტისტატიკური), არახალოიანი საწმენდი ჩვრების კომპლექტი, სამაჯური და სადენი.</p> | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |
| სამომავლო გეგმები | კაბინეტ-ლაბორატორიების განახლება მომავალ წლებშიც გაგრძელდება. | | | |

| აქტივობა 1.2 | | | | |
|-------------------------------|--|----------------------|---------------------|-------------|
| აქტივობის მოკლე აღწერა | სასწავლო ინვენტარის განახლება | | | |
| მთავარი მიზანი | მატერიალური რესურსის განვითარება | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> შეძენილი ინვენტარის რაოდენობა/მაჩვენებელი | | | |
| სავარაუდო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | მატერიალური რესურსის განახლების მიზნით შეძენილ იქნა 13 ერთეული - კომპიუტერის მაგიდა, 2 ერთეული საოფისე მაგიდა და 22 ერთეული სკამი. | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |
| სამომავლო გეგმები | სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, სასწავლო ინვენტარის განახლება მომავალ წლებშიც გაგრძელდება. | | | |

| აქტივობა 1.3 | | | | |
|-------------------------------|---|--|--|--|
| აქტივობის მოკლე აღწერა | ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდის განახლება | | | |
| მთავარი მიზანი | მატერიალური რესურსის განვითარება | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> შეძენილი წიგნების რაოდენობა | | | |
| სავარაუდო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდის განახლების და ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტით კოლეჯს გადაეცა IT Essentials 6.0 სასწავლო კურსის ელექტრონული (PDF) ვერსია. ასევე, წიგნების ელ. ვერსიები, რომლებიც გატარებულია წიგნთა ფონდის საინვენტარო უურნალში. | | | |

| | | | | |
|----------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| | ამას გარდა, საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესების მიზნით, კოლეჯმა ა(ა)იპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017-სგან შეიძინა მომსახურება. აღნიშნული მომსახურება მოიცავდა შემსრულებლის კომპიუტერზე (სერვერზე) ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „OpenBiblio“-ს გამართვას, დამკვეთის ბიბლიოთეკარის ორდიან ტრენინგსა და „OpenBiblio“ მომხმარებლის სახელმძღვანელოს გადაცემას. | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |
| სამომავლო გეგმები | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის წიგნთა ფონდის განახლება მომავალ წლებშიც გაგრძელდება. | | | |

| | |
|-------------------------------|---|
| აქტივობა 1.4 | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | სანიტარულ-ჰიგიენური წერტილების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის და პირველადი სამედიცინო დახმარების გადამოწმება-სრულყოფა |
| მთავარი მიზანი | მატერიალური რესურსის განვითარება |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> მატერიალური რესურსის გაუმჯობესებაზე დახარჯული თანხა |
| სავარაუდო ვადა | 2018 წელი |
| მიღწეული შედეგები | <p>სანიტარულ-ჰიგიენური წერტილების გადამოწმება-სრულყოფის მიზნით შემოწმება წყალგაყვანილობის სისტემა და გაორმაგდა სველი წერტილები. ამის დასტურია გარემონტებული სან-ჰიგიენური წერტილები და ის ფინანსური ხარჯი, რომელიც განია დაწესებულებამ. აღნიშნული დასტურდება, ასევე შესაბამისი სასაქონლო ზედნადებებით.</p> <p>ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის განახლების მიზნით გადაიმუხტა ცეცხლმაქრები, რაც დასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით.</p> <p>პირველადი სამედიცინო დახმარების სრულყოფილად აღმოჩენის მიზნით, პასუხისმგებელი პირის მიერ გადამოწმდა მედიკამენტები და მათი ვარგისიანობა. ასევე, პასუხისმგებელი პირის მიერ გაინერა აუცილებელი</p> |

| | | | | |
|----------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| | მედიკამენტების სია, რომლებიც შექნილ იქნა. აღნიშნული დასტურდება შესაბამისი სასაქონლო ზედნადებით. | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |
| სამომავლო გეგმები | სტრატეგიული გეგმის და უსაფრთხოების მექანიზმებიდან გამომდინარე, სანიტარულ-ჰიგიენური წერტილების, ხანძარსა და სანაღმდეგო სისტემის და პირველადი სამედიცინო დახმარების გადამოწმება-სრულყოფა მომავალ წლებშიც გაგრძელდება. | | | |

| | | | | |
|-------------------------------|--|----------------------|---------------------|-------------|
| აქტივობა 1.5 | | | | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | გათბობის სისტემის გადამოწმება-სრულყოფა | | | |
| მთავარი მიზანი | მატერიალური რესურსის განვითარება | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> გათბობის სისტემის გადამოწმება-სრულყოფაზე დახარჯული თანხა | | | |
| საგარეო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | აუდიტორიებში დამონტაჟებულია გათბობის პერიფერიული საშუალებები (ელექტროლუმენები). ისინი ზამთრის დადგომამდე გადამოწმდა და საჭიროებისამებრ შეკეთდა. ამ მიზნით შექნილ იქნა ელ. ლუმენის სპირალი (2 ერთეული) და ელექტრო კონვექტორი (2 ერთეული). | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |
| სამომავლო გეგმები | სამომავლოდ იგეგმება გათბობის სისტემის სრულყოფა და ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება. | | | |

სტრატეგიული მიზანი 2

2018 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო 2 ამოცანის ფარგლებში 5 აქტივობის განხორციელება.

| აქტივობა 2.1 | | | | |
|-------------------------------|--|----------------------|---------------------|-------------|
| აქტივობის მოკლე აღწერა | შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და პედაგოგიურ პერსონალთან | | | |
| მთავარი მიზანი | კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> გაფორმებული ხელშეკრულებების მაჩვენებელი | | | |
| სავარაუდო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | <p>კოლეჯში რეგულარულად მიმდინარეობდა შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებების გადახედვა, გაფორმება როგორც პერსონალთან, ასევე სასწავლო პროცესის განმახორციელებელ პირებთან.</p> <p>კანონმდებლობასთან შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდა პერსონალთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. მოდულის განმახორციელებელ პირებთან გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულებები.</p> <p>საანგარიშო პერიოდში 86 ხელშეკრულება გაფორმდა, რომელთაგან 44 არის მომსახურების ხელშეკრულება, ხოლო 42 შრომითი ხელშეკრულება. 8 ახალ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულებები.</p> | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |
| სამომავლო გეგმები | მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მომავალშიც გადაიხედება და საჭიროებიდან გამომდინარე გაგრძელდება ხელშეკრულებების მოქმედების ვადა პერსონალთან და პროგრამების განმახორციელებელ პირებთან. | | | |

| აქტივობა 2.2 | | | | |
|-------------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| აქტივობის მოკლე აღწერა | სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება | | | |
| მთავარი მიზანი | კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა | | | |
| სავარაუდო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | <p>სტრატეგიულ გეგმაში შესული ცვლილებების პროექტის პირველი ვერსია შეიქმნა სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე კომისიის მიერ და განსახილველად გადაეცა პედაგოგიურ საბჭოს. პედაგოგიურმა კოლექტივმა ხმათა უმრავლესობით გაიზიარა და დაეთანხმა პროექტში შესულ ცვლილებებს დამფუძნებელთა საბჭოსთვის წარსადგენად. საბჭომ განიხილა სტრატეგიულ გეგმაში შესული ცვლილებების პროექტი და დაადგინა დირექტორის მიერ სტრატეგიული გეგმის შესული ცვლილებებით დამტკიცება. სტრატეგიული გეგმა შესული ცვლილებებით დამტკიცდა დირექტორის მიერ ბრძანებით №04/16.01.2018.</p> <p>2018 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია დირექტორის მიერ ბრძანებით №05/17.01.2018.</p> | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |
| სამომავლო გეგმები | კოლეჯი მომავალშიც გააგრძელებს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე მუშაობას და განხორციელებული აქტივობების შეფასებას. | | | |

| აქტივობა 2.3 | |
|-------------------------------|--|
| აქტივობის მოკლე აღწერა | პროფესიულ მასწავლებელთა ტრენინგი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში |
| მთავარი მიზანი | კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება |

| | | | | |
|----------------------------|--|----------------------|---------------------|-------------|
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> პროფ. მასწავლებელთა წილი, რომლებმაც გაიარეს/გადიან ტრენინგი პროფ. მასწავლებელთა შესაძლებლობების გაძლიერებაზე დახარჯული თანხა | | | |
| საგარეულო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | <p>მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით ტრენინგი ჩატარდა ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულთა 7 განმახორციელებელს. მათ ინფორმაცია მიეწოდათ მოდულური პროგრამებისა და მოდულების განხორციელების თავისებურებებთან დაკავშირებით.</p> <p>სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის სპეციალისტთან შეხვედრას დაესწრო ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 5 განმახორციელებელი. ინფორმაცია მხარდაჭერის სპეციალისტის ვიზიტების შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე.</p> | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |
| სამომავლო გეგმები | კოლექტი მომავალშიც გააგრძელებს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასა და საჭიროების შესაბამისად მოდულის განმახორციელებელთა გადამზადებას. | | | |

| | |
|-------------------------------|--|
| აქტივობა 2.4 | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | პროფესიულ მასწავლებელთა ტრენინგი შეფასების თანამედროვე მეთოდებში |
| მთავარი მიზანი | კოლექტის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება |

| | | | | |
|----------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> პროფ. მასწავლებელთა წილი, რომლებმაც გაიარეს/გადიან ტრენინგი პროფ. მასწავლებელთა შესაძლებლობების გაძლიერებაზე დახარჯული თანხა | | | |
| სავარაუდო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | <p>2018 წელს ავტორიზაციით ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შემდეგ, სასწავლო წლის დაწყებამდე მოდულთა 6 განმახორციელებელს ჩაუტარდა შეფასების თანამედროვე მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების კუთხით ტრენინგი.</p> <p>მოდულის განმახორციელებლებისთვის, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების მიზნით, რეგულარულად ხორციელდება ინდივიდუალური კონსულტაციების განწევა.</p> | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |
| სამომავლო გეგმები | კოლექტი მომავალშიც გააგრძელებს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასა და საჭიროების შესაბამისად მოდულის განმახორციელებელთა გადამზადებას. | | | |

| | |
|-------------------------------|---|
| აქტივობა 2.5 | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | მასწავლებელთა ტრენინგი ისტ-ის გამოყენებაზე სწავლებაში |
| მთავარი მიზანი | კოლექტის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> პროფ. მასწავლებელთა წილი, რომლებმაც გაიარეს/გადიან ტრენინგი პროფ. მასწავლებელთა შესაძლებლობების გაძლიერებაზე დახარჯული თანხა |

| | | | | |
|----------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| საგარეო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | საანგარიშო პერიოდში ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარა ტრენინგი ისტ-ის გამოყენებაზე სწავლების პროცესში. ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული განათლების მასწავლებლებში კომპიუტერული უნარების განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ მიერ სწავლების პროცესში ისტ-ის გამოყენებას. | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | | ✓ | | |
| სამომავლო გეგმები | პროფესიული განათლების მასწავლებელთა ნაწილი მომავალშიც საჭიროებს ისტ-ის მიმართულებით ტრენინგებს. | | | |

სტრატეგიული მიზანი 3

2018 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო ჩართულ მხარეთა გამოკითხვით 4 აქტივობის განხორციელება. უმთავრეს აქტივობას წარმოადგენდა გამოკითხვა/კვლევის ჩატარება, რომლის ამოცანა იყო დაედგინა, რამდენად ადეკვატურად მიმდინარეობდა სწავლა-სწავლების პროცესი, გამოეფლინა არსებული პრობლემები და დაესახა მათი აღმოფხვრის გზები.

| | |
|-------------------------------|---|
| აქტივობა 3.1 | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | შიდა მონიტორინგის ჯგუფში ცვლილებების განხორციელება |
| მთავარი მიზანი | პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრთა რაოდენობა |
| საგარეო ვადა | 2018 წელი |

| | | | | |
|----------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| მიღწეული შედეგები | შიდა მონიტორინგის ჯგუფში ცვლილებების საჭიროება არ დამდგარა. შესაბამისად, მასში ცვლილებები არ განხორციელებულა და არც შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრთა რაოდენობა შეცვლილა. | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | | | ✓ | |
| სამომავლო გეგმები | | | | |

| | | | | |
|-------------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| აქტივობა 3.2 | | | | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | პროფესიული განათლების მასწავლებლების/მოდულის განმახორციელებელი პირების გამოკითხვა | | | |
| მთავარი მიზანი | პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> გამოკითხულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/მოდულის განმახორციელებელი პირების რაოდენობა | | | |
| სავარაუდო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ყოველწლიურად ხორციელდება კვლევები. კოლექტივში მომავალშიც გააგრძელებს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვას სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა მიმდინარე ერთი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 10 მოდულის განმახორციელებელი პირი. | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |

| | |
|--------------------------|---|
| სამომავლო გეგმები | პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მომავალშიც გაგრძელდება პროგრამის განმახორციელებელი პირების გამოკითხვა. |
|--------------------------|---|

| | | | | |
|-------------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| აქტივობა 3.3 | | | | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | სტუდენტების გამოკითხვა სასწავლო პროცესის და კურსების გაუმჯობესების მიზნით | | | |
| მთავარი მიზანი | პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა | | | |
| საგარეუდო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ყოველწლიურად ხორციელდება კვლევები. კოლეჯი მომავალშიც გააგრძელებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა როგორც მოდულური, ასევე საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 80 პროფესიული სტუდენტი. | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |
| სამომავლო გეგმები | სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მომავალ წლებშიც გაგრძელდება პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა. | | | |

| | | | | |
|-------------------------------|--|----------------------|---------------------|-------------|
| აქტივობა 3.4 | | | | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი | | | |
| მთავარი მიზანი | პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> ▪ კმაყოფილების მაჩვენებელი სასწავლო პროცესის და კურსის გაუმჯობესების მიზნით ▪ შემუშავებული კვლევის ანგარიში | | | |
| სავარაუდო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | საანგარიშო პერიოდში გამოკითხული პროფესიული სტუდენტებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე შემუშავდა პროგრამების შეფასების კვლევის ანგარიში 2018, რომელიც მოიცავს როგორც კვლევის მეთოდოლოგიასა და მონაცემთა ანალიზს, ასევე კვლევის ძირითად მიგნებებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული კვლევის ანგარიში განთავსებულია ვებ-გვერდზე. | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |
| სამომავლო გეგმები | პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მომავალ წლებშიც შემუშავდება კვლევის ანგარიშ/ებ/ი, რომელიც დაეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემებს. | | | |

სტრატეგიული მიზანი 4

2018 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და ცნობიერების ამაღლების აქტივობების ორგანიზება პროფესიული სტუდენტებისთვის არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო 5 სხვადასხვა სახის აქტივობის განხორციელება.

| აქტივობა 4.1 | | | | |
|-------------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| აქტივობის მოკლე აღწერა | საკომუნიკაციო აქტივობების დანერგვა დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით | | | |
| მთავარი მიზანი | კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და ცნობიერების ამაღლების აქტივობების ორგანიზება | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> ▪ სხვადასხვა დაინტერესებული მხარის (მშობელი, აბიტურიენტი, მასწავლებელი და ა.შ) ინფორმირების ხარისხი (შეხვედრების რაოდენობა) | | | |
| სავარაუდო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | საანგარიშო პერიოდში, კოლეჯის ცნობადობის ამაღლების მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა ტიპის შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან. ამასთან ერთად, ზაფხულში იმართებოდა ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები და შეხვედრები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით დაინტერესებულ პირებთან. | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | | ✓ | | |
| სამომავლო გეგმები | კოლეჯი მომავალშიც გააგრძელებს დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ორგანიზებას და საინფორმაციო ბროშურების, ფლაერების დამზადებას და გავრცელებას კოლეჯის ცნობადობის გაზრდის მიზნით. | | | |

| აქტივობა 4.2 | |
|-------------------------------|---|
| აქტივობის მოკლე აღწერა | დაინტერესებულ მხარეთათვის სასწავლო ტურების ორგანიზება |
| მთავარი მიზანი | კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და ცნობიერების ამაღლების აქტივობების ორგანიზება |

| | | | | |
|----------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> სხვადასხვა დაინტერესებული მხარის (მშობელი, აბიტურიენტი, მასწავლებელი და ა.შ) ინფორმირების ხარისხი (შეხვედრების რაოდენობა) | | | |
| საგარეულო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | დაინტერესებულ მხარეთათვის სასწავლო ტურების ორგანიზება არ განხორციელებულა. | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | | | | ✓ |
| სამომავლო გეგმები | | | | |

| | | | | |
|-------------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| აქტივობა 4.3 | | | | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | სპორტულ ღონისძიებებში/შეჯიბრებებში მონაწილეობა | | | |
| მთავარი მიზანი | კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და ცნობიერების ამაღლების აქტივობების ორგანიზება | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> სხვადასხვა ღონისძიებების, შეხვედრების და ექსკურსიების რაოდენობა | | | |
| საგარეულო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | კოლეჯს სპორტული ღონისძიებები/შეჯიბრებები არ განუხორციელებია და არც სხვა უწყების მიერ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის შეთავაზება მიუღია. | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | | | | ✓ |

| | |
|--------------------------|--|
| სამომავლო გეგმები | |
|--------------------------|--|

| | | | | |
|-------------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| აქტივობა 4.4 | | | | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | ტრენინგის (უსაფრთხოების და ა.შ) ორგანიზება | | | |
| მთავარი მიზანი | კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და ცნობიერების ამაღლების აქტივობების ორგანიზება | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> ▪ სხვადასხვა ღონისძიებების, შეხვედრების და ექსკურსიების რაოდენობა | | | |
| საგარეულო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | <p>ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჯანმრთელობა და უსაფრთხოების მოდულის განმახორციელებლისა და პროფესიული სტუდენტების მიერ განხორციელდა შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად, უსაფრთხოების ტრენინგის ორგანიზება. მათ დაევალათ სტიქიური უბედურების დროს შენობის უსაფრთხოდ დაცლა. კერძოდ, უნდა დაეცალათ შენობა (სართული) სავაკუაციო გეგმის შესაბამისად, აღეჭურვათ ევაკუაციის დროს საჭირო ჩანთა საჭირო ნივთებით, უზრუნველყოთ უსაფრთხოდ ხალხის გადაყვანა შენობიდან შეკრების ადგილამდე, მოეხდინათ შეკრების ადგილზე პირთა იდენტიფიცირება და შეემონშმებინათ ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობა (საჭიროების შემთხვევაში მიეღოთ შესაბამისი ზომები).</p> <p>საანგარიშო პერიოდში ორის ნაცვლად ერთხელ განხორციელდა უსაფრთხოების ტრენინგი.</p> | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | | ✓ | | |
| სამომავლო გეგმები | კოლეჯი მომავალშიც გააგრძელებს მსგავსი ტიპის ტრენინგების ორგანიზებას. | | | |

| | | | | |
|-------------------------------|--|----------------------|---------------------|-------------|
| აქტივობა 4.5 | | | | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | ექსკურსიებისა და სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზება | | | |
| მთავარი მიზანი | კოლექტის ცნობადობის გაზრდა და ცნობიერების ამაღლების აქტივობების ორგანიზება | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> ▪ სხვადასხვა ღონისძიებების, შეხვედრების და ექსკურსიების რაოდენობა | | | |
| სავარაუდო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | <p>სტრატეგიული მიზნის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის შეხვედრები და ექსკურსიები პროფესიული სტუდენტებისა და მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეებისთვის. კერძოდ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ექსკურსია პრეზიდენტის რეზიდენციაში; ▪ კარიტასის ღონისძიება; ▪ პროფესიული სტუდენტებისთვის ექსკურსია ეროვნულ არქივში; ▪ შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან უსინათლო და მცირემხედველ ალსაზრდელებთან მუშაობისა და სწავლის სტრატეგიებთან დაკავშირებით; ▪ მოკლევადიანი მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეთა ექსკურსია ეროვნულ არქივში; ▪ შეხვედრა დამსაქმებლებთან; ▪ დასაქმების ფორუმი თელავში; ▪ დასაქმების ფორუმი თბილისში; ▪ პროექტი „ერთი დღე ჯარში“; | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |

| | |
|--------------------------|--|
| სამომავლო გეგმები | კოლეჯის ცნობადობისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით სხვადასხვა სახის შეხვედრების ორგანიზება მომავალ წლებშიც გაგრძელდება. |
|--------------------------|--|

სტრატეგიული მიზანი 5

2018 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო 2 ამოცანის ფარგლებში 4 აქტივობის განხორციელება.

| | |
|-------------------------------|--|
| აქტივობა 5.1 | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების გაცნობა |
| მთავარი მიზანი | მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა |
| საგარეუდო ვადა | 2018 |
| მიღწეული შედეგები | <p>კოლეჯი ხელახალი ავტორიზაციის პროცესის დასრულებისთვის გეგმავდა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და დამატების მიზნით განაცხადის წარდგენას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით აუცილებელი იქნებოდა სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების გაცნობა.</p> <p>კოლეჯმა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების პროცესი ხელახალი ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ არ აწარმოა. შესაბამისად არ დამდგარა სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების გაცნობის აუცილებლობა. თუმცა ავტორიზაციით ინფორმაციის ტექნოლოგიის</p> |

| | | | | |
|----------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| | მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისას მოხდა პროგრამის ბაზრის კვლევის შედეგების გაცნობა. | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | | ✓ | | |
| სამომავლო გეგმები | | | | |

| | | | | |
|-------------------------------|--|----------------------|---------------------|-------------|
| აქტივობა 5.2 | | | | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | სტუდენტთა გამოკითხვა მათთვის საინტერესო პროფესიების დადგენის მიზნით | | | |
| მთავარი მიზანი | მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | | | |
| სავარაუდო ვადა | 2018 | | | |
| მიღწეული შედეგები | <p>პროფესიების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარების მიზანს წარმოადგენდა, გარკვეულიყო პროფესიულ სტუდენტებში მათთვის პოპულარული პროფესიები. ხელახალი ავტორიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ, ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას მიზანშეწონილობის დასაბუთება უნდა დაფუძნებოდა მათ შორის აღნიშნულ კვლევის შედეგებს. გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების პროცესი არ უნარმოებია, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის საჭიროება არ დამდგარა.</p> | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | | | | ✓ |

| | |
|--------------------------|--|
| სამომავლო გეგმები | |
|--------------------------|--|

| | | | | |
|-------------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| აქტივობა 5.3 | | | | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | საინტერესო პროფესიების დადგენის მიზნით სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი | | | |
| მთავარი მიზანი | მოღულოური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | | | |
| სავარაუდო ვადა | 2018 | | | |
| მიღწეული შედეგები | გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების პროცესი არ უწარმოებია, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის საჭიროება არ დამდგარა. შესაბამისად, საინტერესო პროფესიების დადგენის მიზნით სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი არ განხორციელებულა. | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | | | | ✓ |
| სამომავლო გეგმები | | | | |

| | | | | |
|-------------------------------|--|--|--|--|
| აქტივობა 5.4 | | | | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავება, არსებულის განახლება | | | |
| მთავარი მიზანი | მოღულოური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა | | | |

| | | | | |
|----------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | | | |
| საგარეო ვადა | 2018 | | | |
| მიღწეული შედეგები | <p>2017 წლის ბოლოს დაიწყო მუშაობა ინფორმაციის ტექნოლოგიის მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. 2018 წლის 26 იანვარს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შევიდა კოლეჯის ავტორიზაციის განაცხადი, რომელშიც მიეთითა ინფორმაციის ტექნოლოგიის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცების აქტითა და მოდულის განმახორციელებლებით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №122 გადაწყვეტილებით კოლეჯს 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოიპოვა სხვა პროგრამებთან ერთად ინფორმაციის ტექნოლოგიის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება.</p> <p>არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილება განპირობებული იყო მოდულის განმახორციელებელ პირთა დამატებით. 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 30² მუხლის საფუძველზე, პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობის ცვლილების შესახებ ეცნობა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წერილით (№58/11.10.2018).</p> | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |
| სამომავლო გეგმები | | | | |

სტრატეგიული მიზანი 6

2018 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხილვა, შემუშავება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო 3 აქტივობის განხორციელება.

| აქტივობა 6.1 | |
|-------------------------------|---|
| აქტივობის მოკლე აღწერა | ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გადახედვა/გაუმჯობესება |
| მთავარი მიზანი | ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხილვა, შემუშავება |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> ▪ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები |
| სავარაუდო ვადა | 2018 წელი |
| მიღწეული შედეგები | <p>კოლეჯი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. ამისათვის იგი ქმნის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას, შეიმუშავებს სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ სტანდარტებსა და მოთხოვნებს და სისტემატიურად აფასებს სასწავლო პროცესის ხარისხს.</p> <p>სასწავლო პროცესის შეფასების ძირითადი ამოცანებია:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) დაადგინოს, რამდენად ადეკვატურად მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი; ბ) გამოავლინოს პრობლემები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. <p>სასწავლო პროცესის შეფასებისას მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე ყველა მხარის - პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების დამოკიდებულების შესწავლა. ამისათვის კოლეჯი მიმართავს ანკეტური გამოკითხვის მეთოდს. კითხვარების შედგენა, უშუალოდ გამოკითხვის წარმოება, შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს. ამ მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხელახლა შემუშავდა სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (№09/23.01.2018).</p> <p>მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაც მიმდინარეობს შესაბამისი კითხვარებითა და დაკვირვების ფორმებით.</p> |

| | | | | |
|----------------------------|--|----------------------|---------------------|-------------|
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |
| სამომავლო გეგმები | კოლექტი მომავალშიც გააგრძელებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე მუშაობას. | | | |


| | | | | |
|-------------------------------|--|----------------------|---------------------|-------------|
| აქტივობა 6.2 | | | | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | თვითშეფასების ანგარიშის შემუშავება | | | |
| მთავარი მიზანი | ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხილვა, შემუშავება | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> შემუშავებული თვითშეფასების ანგარიში | | | |
| სავარაუდო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ცენტრს არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ წარუდგინოს თვითშეფასების ანგარიში. თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა ხდება ელექტრონული ფორმით (ხელმოწერილი და დასკანერებული). თუმცა 2018 წელს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვალდებულება არ დამდგარა. | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |
| სამომავლო გეგმები | კოლექტი მომავალშიც გააგრძელებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური | | | |

| | |
|--|---|
| | ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად ცენტრში თვითშეფასების ანგარიშის წარდგენას. |
|--|---|

| | | | | |
|-------------------------------|---|----------------------|---------------------|-------------|
| აქტივობა 6.3 | | | | |
| აქტივობის მოკლე აღწერა | ავტორიზაცია - თვითშეფასების კითხვარის შემუშავება | | | |
| მთავარი მიზანი | ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხილვა, შემუშავება | | | |
| ინდიკატორი | <ul style="list-style-type: none"> შემუშავებული ავტორიზაციის კითხვარი | | | |
| სავარაუდო ვადა | 2018 წელი | | | |
| მიღწეული შედეგები | <p>პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადანყვეტილებით კოლეჯს ავტორიზაცია 2013 წლის 26 ივლისს 5 წლის ვადით მიენიჭა. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი თანდართული დოკუმენტაციით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინა 6 თვით ადრე, წერილით (№04/26.01.2018).</p> <p>პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №122 გადანყვეტილებით კოლეჯს 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 258-ით.</p> | | | |
| შესრულების შეფასება | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა |
| | ✓ | | | |
| სამომავლო გეგმები | კოლეჯი მომავალშიც გააგრძელებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით მუშაობას. | | | |

დასკვნა

2018 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 26 აქტივობიდან სრულად შესრულდა - 17 აქტივობა, უმეტესწილად შესრულდა - 4, ნაწილობრივ შესრულდა - 1, ხოლო 4 აქტივობა შესრულებელი დარჩა. აქტივობების შესრულებლობის მიზები გარკვეული ობიექტური გარემოებებია.



2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავებაში ჩართული პირები

- ნინო ბოკერია - დირექტორის მოადგილე;
- ნინო ხაჩიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- მარიამ გიორგობიანი - ფინანსური მენეჯერი;